ევროკავშირი
საქართველოსთვის

The European Union for Georgia

ბავშვთა დახმარების ხაზი

116 111

დახმარებას უწევს ბავშვებს, რომლებსაც სურთ საკუთარ ან სხვის ჭრობლემებზე საუბარი.
თქვენს ზარს უპასუხებს ჭროფესიონალი, რომელიც მოგისმენთ და დაგეხმარებათ ჭრობლემის მოგვარებაში.
საუბრის შინაარსი კონფიდენციალურია.
მომსახურება უფასოა.

ბავშვთა დახმარების ხაზი მუშაობს ყოველდღე,
შაბათ-კვირის გარდა,
10 საათიდან 18 საათამდე.

რა არის ბავშვთა დახმარების ხაზი?

ნებისმიერი ადამიანი, ბავშვიც და მოზრდილიც, შეიძლება ისეთ სიტუაციაში აღმოჩნდეს, რომელიც მას თრგუნავს, აბნევს, აშინებს, ძაბავს, აწუხებს, საკუთარ უმწეობას თუ მარტოობას აგრძნობინებს. რასაკვირველია, ჩვენ გვყავს მეგობრები, ახლობლები, სანდო ადამიანები. თუმცა, ზოგჯერ უბრალოდ არ ვიცით, როგორ მოვუყვეთ მათ ჩვენი პრობლემების შესახებ.

ბავშვთა დახმარების ხაზი შესაძლებლობას აძლევს ბავშვს და ახალგაზრდას, მხარდაჭერა იგრძნოს, მისთვის რთულ სიტუაციაში გაერკვეს, დამშვიდდეს და მართებული გადაწყვეტილება მიიღოს.

ნებისმიერ ბავშვს და ახალგაზრდას აქვს უფლება, მიიღონ, მოუსმინონ, დაეხმარონ. თუ:

- თანატოლებთან საერთო ენას ვერ პოულობ
- ფიქრობ, რომ მშობლებს შენი არ ესმით
- შენს განცდებს ვერავის უზიარებ
- სკოლაში სიძნელეები გაქვს
- ისეთი რამეების კეთებას გაიძულებენ, რაც შენ გაშინებს ან განერვიულებს
- გგონია, რომ ამქვეყნად შენი გამგები არავინაა
- საიდუმლო გაქვს, რომელსაც ვერავის უმხელ
- ხშირად მოგდის აზრად, რომ არავის ჭირდები
- ვინმე ხშირად დაგცინის, გამცირებს ან გემუქრება
- თავს მიტოვებულად, მარტოსულად გრძნობ
- მშობლების ან თანატოლებისგან ძალადობას განიცდი

თუ თბილი სიტყვა, რჩევა, მხარდაჭერა გჭირდება, - გჯეროდეს, შენ მარტო არ ხარ!

უბრალოდ, აიღე ტელეფონი და დარეკე

ბავშვთა დახმარების ხაზზე 116 111

არ დარჩე მარტო შენს პრობლემებთან!

ერთად მოვაგვაროთ შენი სიძნელეები სკოლაში, სახლში, ქუჩაში.

არ თქვა უარი დახმარებაზე!

ანონიმურობა - ვალდებული არ ხარ, შენი სახელი გაამხილო. შეგიძლია, სხვა სახელით გაგვეცნო. შენი ტელეფონის ნომერი არ ფიქსირდება.

კონფიდენციალობა - ჩვენი საუბარი არ იწერება და არავის გადაეცემა.

ტოლერანტობა - ჩვენ პატივისცემით და გაგებით გეკიდებით შენ და შენს პრობლემას.

საუბრის თავისუფლება - შენ შეგიძლია, როცა მოგესურვება, ნებისმიერ მომენტში შეწყვიტო ჩვენთან საუბარი.

პუბლიკაცია მომზადდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით და საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდის ორგანიზებით, პროექტის “ადვოკატირება ბავშვთა და ახალგაზრდების დასაცავად” ფარგლებში. წარმოდგენილი მასალა არ გამოხატავს ევროკავშირის ოფიციალურ თვალსაზრისს. პასუხისმგებლობა მასალის შინაარსზე ეკისრება საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდს. პროექტს “ადვოკატირება ბავშვთა და ახალგაზრდების დასაცავად” ახორციელებენ: